



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულო

N 10

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

ქ. გარდაბანი
28.02.2024

10-06-4-202402281614



საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი, 2024 წელს გარდაბნის მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი, ინფრასტრუქტურული სამუშაოების საპროექტო წინადადებების მოწონების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის მე-2, მე-3 ნაწილების, საქართველოს მთავრობის 2023 წლის 28 დეკემბრის №2401 განკარგულებისა და გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერიის 2024 წლის 20 თებერვლის N18-182405153 წერილის შესაბამისად, გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

მუხლი 1

მოწონებულ იქნეს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი, 2024 წელს გარდაბნის მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი, ინფრასტრუქტურული სამუშაოების საპროექტო წინადადებები დანართი №1-ის შესაბამისად.

მუხლი 2

განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

მუხლი 3

განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს რუსთავის საქალაქო სასამართლოში (ქ. რუსთავი, ბოსტანქალაქის ქ. N 6) საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე მუხლის მე-3 ნაწილით დადგენილი წესით.

მიხეილ გედეხაური

საკრებულოს თავმჯდომარე